საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 3 18 03101923

25/12/2018

საქართველოს პარლამენტის
ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის
კომიტეტის თავმჯდომარეს
ქალბატონ სოფიო კილაძეს

ქალბატონო სოფიო,

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შემდგომში - სამინისტრო) განიხილა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2018 წლის 19 დეკემბრის №12179/4-2 წერილი, რომელიც ეხება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ზემოაღნიშნული კომიტეტის სხდომაზე მოწვევის საკითხს.

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 21 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 154-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი წარსდგა საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, სადაც განხილულ იქნა პარლამენტის მიერ სამინისტროს წინაშე დასმული, მათ შორის, საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ მიერ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წინაშე დაყენებული საკითხები. სამინისტროს წინაშე დასმულ ყველა შეკითხვაზე პარლამენტის წევრებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა უკვე მიაწოდა ინფორმაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ზემოაღნიშნულ წერილში მითითებულ საკითხებზე აღარ არსებობს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის დასწრების აუცილებლობა.

პატივისცემით,

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი
გიორგი სახოკია